ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 134 (3873) 12 1969 წ. ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს V პროფკავშირული

სპარტაკიადის ტაბლო

საერთო გუნდური შედეგები 25 დამთავრებული სახეობის (კალათბურთი — ქალები და ვაჟები, ხელბურთი — ქალები და ვაჟები, ტანვარჯიში — ქალები და ვაჟები, ქართული ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, საგზატკეცილო ველორბოლა, ტრეკზე რბოლა, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, სასტენდო სროლა, ძალოსნობა, ჭადრაკი, შაში, ფარიკაობა, ცურვა, კრივი) შემდეგ ასეთია:

„ბურევესტნიკი" — 1635 ქულა

„განთიადი" — 1366

„სპარტაკი" — 1055,5

„ლოკომოტივი" — 747

„შრომითი რეზერვები" — 345,5

„ვოდნიკი" — 38

ყველა თანრიგში

მოულოდნელი იყო მაგიდის ჩოგბურთში „სპარტაკის" დამარცხება, მაგრამ იმის გამო, რომ ამ საზოგადოების გუნდის ლიდერი — სსრ კავშირის ჩემპიონი ს. სარხოიანი თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა, სპარტაკელები II ადგილს დასჯერდნენ. გუნდმა, რომელმაც დაამარცხა „განთიადი" (5:2), „შრომითი რეზერვები" და „ლოკომოტივი" (ერთნაირი ანგარიშით — 5:0), გადამწყვეტი ბრძოლა წააგო „ბურევესტნიკთან" — 3:5.

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სტუდენტთა ნაკრები, რომელმაც ყველა მეტოქეს სძლია „განთიადს" — 5:1, „ლოკომოტივს" — 5:0, „შრომით რეზერვებს" — 5:0). განთიადელები „ლოკომოტივთან" (5:0) და „შრომით რეზერვებთან" (5:2) გამარჯვების წყალობით III ადგილზე გავიდნენ.

პირად ტურნირში საუკეთესო მომზადება გამოავლინა თ. რამაზაშვილმა („ბურევესტნიკი"), რომელმაც ყველა თანრიგში პირველობა მოიპოვა. ქალებში იმარჯვა ს. ორდინიანმა („სპარტაკი"). მან პირველობა მოიგო როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შეხვედრებში და II ადგილზე გავიდა შერეულ წყვილთა ტურნირში, სადაც თანაგუნდელ ა. აბრამიანთან ერთად რამაზაშვილ — ლ. კამენსკაიას დუეტთან დამარცხდა.

დოდო გელაშვილი.

აი, პრიზიორები:

ქალები. ერთეულთა შეხვედრები. ს. ორდინიანი („სპარტაკი"), ლ. კამენსკაია, ა. სუჯაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი"); **წყვილები.** ორდინიანი — ე. კარპენკო („სპარტაკი"), თ. მაჭავარიანი — ს. მეტრეველი („შრომითი რეზერვები"), სუჯაშვილი — კამენსკაია.

ვაჟები. ერთეულთა შეხვედრები. თ. რამაზაშვილი („ბურევესტნიკი"), ვ. კოლიკი („განთიადი"), ა. არუთინოვი („სპარტაკი"); **წყვილები.** რამაზაშვილი — ვ. გორგიშელი („ბურევესტნიკი"), კოლიკი — ვ. ოვაკიმიანი („განთიადი"), არუთინოვი — აბრამიანი („სპარტაკი").

შერეული წყვილები. კამენსკაია — რამაზაშვილი, ორდინიანი — აბრამიანი, კარპენკო („სპარტაკი") — ა. კოლიკი („განთიადი").

რეკორდები

კიევი, 10 ივლისი. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა XIV სპარტაკიადაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ძალოსანმა ნ. მირონენკომ (მძიმე წონა). მან 188,5 კგ აჭიმა. ეს შედეგი 0,5 კგ-ით სჯობს რ. ბედნარსკის (აშშ) ძველ რეკორდს.

20^{45}

◆ **ბელგრადი,** 11 ივლისი. „იუგოსლავიის ტური" (1926 კმ) მოიგეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა — 143:28.09. პირად ჩათვლაში იმარჯვა გ. ზეტმელკმა (ჰოლანდია) — 47:41.25.

პლანერისტებს არ ჰყოფნით... ცა

ორიოლი, 9 ივლისი. 500-კილომეტრიან სამკუთხა მარშრუტზე ფრენისთვის ხუთი სოციალისტური ქვეყნის პლანერისტთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებს ამჯერად არ ეყოთ ორიოლის ცა. ისინი იძულებული გახდნენ ლიპეცკისა და კურსკის ოლქებიდან „მეტაცებინათ" სივრცე.

და აი, ყველაზე რთული მარათონული დისტანცია დაძლეულია. საბჭოთა საპლანერო სპორტის ისტორიას არ ახსოვს ამ რთული ვარჯიშის ასე მასობრივად შესრულება. 25 სპორტსმენიდან 20 მივიდა ფინიშთან. 3 წლის წინ კი აქვე, ამავე საერთაშორისო შეჯიბრებაში ეს დისტანცია მხოლოდ ერთმა კაცმა, მსოფლიო ჩემპიონმა, პოლონელმა ი. ვრუბლიოვსკიმ გადალახა.

კვლავ მაღალი ოსტატობა გამოავლინეს უმოტორო ფრენის საბჭოთა ოსტატებმა. ქალებში, რომლებიც მხოლოდ ღია კლასში გამოდიან („თავისუფალი" ტექნიკური მონაცემების პლანერებით) პირველობდა ქვეყნის მრავალგზის რეკორდსმენი და ჩემპიონი, ჟუკოვსკელი ავიაციის ინჟინერი მ. აფრიკანოვა. 518 კმ მან 6 საათში, 56 წუთსა და 20 წამში დაფარა. II და III ადგილებიც საბჭოთა პლანერისტებმა დაიკავეს. ესენი არიან 20 წლის ლ. კლიუევა (კიშინიოვი) — 6:56.34. და მოსკოველი ო. მანაფოვა — 7:19.41. სამივემ პირველად გადალახა 500-კილომეტრიანი საჰაერო ტრასა.

ვაჟებიდან ამავე კლასში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. ჩუვიკოვმა. 518 კმ-ზე მან 6:08.30 აჩვენა. შემდეგ დაეშვა ასპარეზობის მეორე დღის გმირი, უნგრელი ტ. კორნელი — 6:19.42. მესამე იყო საბჭოთა პლანერისტი ა. დურნოვი — 6:25.47.

სტანდარტულ კლასში (შეზღუდული მონაცემების პლანერები: ფრთის გაშლის არე არა უმეტეს 15 მეტრისა და ა. შ.) გაიმარჯვა მოსკოველმა ი. კუზნეცოვმა — 6:56.54. II ადგილზეა პოლონელი კ. გოშკევიჩი (6:59.30), III — ესტონელი ი. ლინკი (7:05.10).

ოთხი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არიან სსრ კავშირის პლანერისტები, შემდეგ მოდიან „სსრ კავშირი-2" და უნგრეთის ნაკრები. პირადი: ქალებში ლიდერობს მანაფოვა; ვაჟებიდან სტანდარტულ კლასში წინაა კუზნეცოვი, ღია კლასში — რუდენსკი.

(საკდესი).

ზუსტი მიზანი

პიარნუ, 10 ივლისი. მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილემ გ. რიბინამ (შეიარაღებული ძალების გუნდი) 5 ქულით გაზარდა მსოფლიო რეკორდი 70-მეტრიან დისტანციაზე. 36 ცდამ მას 289 ქულა მოუტანა.

70-მეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში, ოღონდ 72 ისრით, პირველი იყო ევროპის ჩემპიონი, ლვოველი ნ. კოზინა — 571 ქულა. კოზინამ ოქროს მედალი დაისაკუთრა 60 მეტრზე შეჯიბრებაშიც — 578 ქულა. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

90-მეტრიან დისტანციაზე ვაჟთა შორის ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა სამხედრო მოსამსახურემ მ. პეუნოვმა — 507 ქულა. ეს დიდი წარმატებაა სპორტსმენისთვის, რომელიც მხოლოდ მესამე წელია მოზრდილთა შორის ასპარეზობს. 70 მეტრზე ოქრო მოიხვეჭა 19 წლის სამხედრო მოსამსახურემ ლ. სტრელბიცკიმ — 580 ქულა.

(საკდესი).

ერევანში სასპარეზოდ აქ აღბეჭდილი ჩოგბურთელებიც ჩავიდნენ. მათ — ნ. ჩხეიძემ და ზ. ბოკერიამ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ისახელეს თავი: შესანიშნავად ითამაშეს ერთეულთა შეჯიბრებებში და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონთა წოდება. ამას გარდა, შერეულ წყვილთა ტურნირშიც დაჯაბნეს ყველა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნ. ჩხეიძე (ზევით) და ზ. ბოკერია შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

[illegible]

● **ოსლო** 10 ივლისი. „ბიშლეტის" სტადიონზე საერთაშორისო მძლეოსნური შეჯიბრების მეორე დღეს დაუღალავი ავსტრალიელი რ. კლარკი კვლავ გამოვიდა საასპარეზოდ. მსოფლიო რეკორდსმენმა წინადღით 10 კილომეტრზე რბენა მოიგო, ახლა კი ყველას აჯობა 5-კილომეტრიან დისტანციაზე — 13.34,6. II ადგილზეა ნორვეგიელი ა. კვალჰეიმი —13.46,4. სენსაციურად დამთავრდა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა. გამარჯვებულმა — ბულგარელმა მ. ჟელევმა (8.38,6) ჩამოიტოვა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. ბივოტი (კენია), რომელიც ფინიშთან მხოლოდ მესამე იყო — 8.47,6. სამაგიეროდ, ბივოტის თანამემამულემ ნ. ბონმა ყველას აჯობა 800 მეტრზე რბენაში — 1.48,4. მან II ადგილზე დატოვა ოლიმპიური ჩემპიონი რ. დოუბელი (ავსტრალია) — 1.49,2.

● **რიგა,** 10 ივლისი. ველოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს პირველი მედლები აქ რსფსრ-ს მეორე ნაკრებმა გუნდებმა მოიხვეჭეს: 20 კილომეტრზე ქალთა გუნდურ რბოლაში ვ. დიმოვამ, ვ. სერგეევამ და ვ. კრავცოვამ 28.31,5 აჩვენეს, ხოლო 100-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად, 2 საათში, 11 წუთსა და 39 წამში დაფარეს ა. ვოდიანიკოვმა, ვ. ლიხაჩოვმა, ვ. მიხაილოვმა და ი. ლავრუშკინმა.

● **პრისტინა** (იუგოსლავია), 10 ივლისი. აქ გაიმართა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება მოტოკროსში. I ადგილი დაიკავა ლატვიელმა ა. ანგერსმა, II — კოვროველმა ვ. კრასნოშჩოკოვმა, IV — კიშინიოველმა ა. მანდრიჩენკომ.

● **ბერლინი, 10 ივლისი.** კარტინგის საბჭოთა ოსტატებმა გდრ-ში გამართულ ტრასაზე — სოციალისტური ქვეყნების თასის გათამაშების მეორე ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს. მათ II ადგილი დაიკავეს — წინ მხოლოდ [illegible] მასპინძლები გაუშვეს.

XI მოდის სპორტული სიჭაბუკე

ერევანი, 9 ივლისი. ქალაქის სპორტულ ფაბრიკებში 20 ათასი მზისგან საცავი ქუდი დაამზადეს მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებისთვის. ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნება 19 ივლისს სომხეთის დედაქალაქის რესპუბლიკურ სტადიონზე.

არბიტრებმა უკვე აღნიშნეს პირველი გოლები. დღეს ბრძოლაში ჩაებნენ ფეხბურთელები. ერევნისა და არტაშატის მწვანე მინდვრებზე ერთმანეთს შეხვდებიან ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის, საქართველოს, ყაზახეთისა და ლენინგრადის წარმომადგენლები.

ამ დიდ სპორტულ დღესასწაულში მთელი სომხეთი მონაწილეობს. მასპინძლები გულთბილად ხვდებიან სტუმრებს — 15 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე, სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროს სპორტსმენებს. წლევანდელ სპარტაკიადაში 8 ათასამდე მოსწავლე ჩაება და სპორტის 21 სახეობაში იასპარეზებს. შეჯიბრებას მოემსახურება 1200 მსაჯი, 200 ჟურნალისტი. წინა სპარტაკიადებისგან განსხვავებით, გუნდური ადგილები გათამაშდება კომპლექსური ჩათვლის გარეშე, სპორტის ცალკეულ სახეობებში.

ასპარეზობისთვის რესპუბლიკაში მომზადდა ახალი ბაზები და ნაგებობანი. მწყობრში ჩადგა 200-ადგილიანი სასტუმრო, ელექტროქარხნის სპორტის სასახლე, საცურაო აუზები, კეთილმოწყობ ბაღები, პარკები. ერევნის ტბაზე, სადაც ნიჩბოსანთა შეჯიბრება უნდა ჩატარდეს, შეიქმნა სანიჩბოსნო ბაზა, აიგო ელინგები.

(საკდესი).

• • •

საქართველოს ნორჩი ფეხბურთელები ფინალში გასასვლელად იბრძვიან III ჯგუფში. პირველი მატჩი მათ ჰქონდათ ლიტვის ნაკრებთან. დასაწყისში დაწინაურდნენ ლიტველები (2:0), თუმცა საერთო უპირატესობა თავიდანვე ჩვენს გუნდს ჰქონდა. პირველი საპასუხო გოლი გაიტანა ფარფულავამ. შემდეგ აბუაშვილმა გაათანაბრა ანგარიში და ბოლოს შელიამ გამარჯვება მოუტანა საქართველოს ნაკრებს — 3:2.

ამავე ჯგუფში მოსკოველებმა დაამარცხეს მოლდავეთის ნაკრები — 4:0, ხოლო გზათა მიმოსვლის სამინისტროს ნაკრებმა — ტაჯიკეთის გუნდი — 1:0.

ჯ. ენუქიძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ფეხბურთი 69

მატჩები, გოლები, ქულები

ახლა, როცა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ქვეჯგუფებში დასასრულს უახლოვდება, თითოეულ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო სამივე მატჩი, რომლებიც „ა" კლასის I ჯგუფის I ქვეჯგუფში შედგა, ასეთი მნიშვნელოვანი იყო. 9 ივლისს მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და „არარატი". სტუმრებს დასაწყისშივე მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ დინამოელთა მეკარე იაშინმა შეძლო ძალზე ძნელი ბურთის აღება (იაშინმა 9 ივლისს ითამაშა თავისი საიუბილეო, მე-300 მატჩი საკავშირო ჩემპიონატებში). მე-13 წუთზე ანიჩკინმა გაიტანა გოლი, რომელმაც მოსკოველებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

უკიდურესად საჭირო ქულა აიღო კიევში, ჩემპიონთან შეხვედრაში, „ნეფტჩიმ". კიეველები დაწინაურდნენ საბოს და სერებრიანიკოვის ბურთების მეოხებით, მაგრამ „ნეფტჩიმ" გაქვითა ორივე გოლი, თანაც, ორივე ბურთის ავტორი იყო აბდულაევი — 2:2.

ასეთივე სიურპრიზი მოხდა მოსკოვში, სადაც გუშინწინ თამაშობდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და „კაირატი". ალმა-ათის გუნდმა თავდაუზოგავად იბრძოლა და დაამარცხა მეტოქე — 2:0 (დოლმატოვი, ტიაგუსოვი). საინტერესოა, რომ „კაირატმა" პირველ წრეშიც მოუგო „ტორპედოს" (3:1).

„ა" კლასი I ჯგუფი

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	17	10	7	0	24—5	27
ცსკა	17	9	5	3	17—7	23
ასკა (როსტოვი)	17	7	4	6	20—21	18
„დინამო" (მოსკოვი)	17	7	3	7	15—16	17
„ზარია" (ლუგანსკი)	17	6	4	7	18—15	16
„ნეფტჩი" (ბაქო)	17	5	6	6	14—16	16
„არარატი" (ერევანი)	17	6	4	7	17—22	16
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	17	4	7	6	13—17	15
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	17	4	6	7	9—17	14
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	17	2	4	11	13—24	8

„ა" კლასი II ჯგუფი

IV ქვეჯგუფი

9 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

გათამაშების ლიდერმა — თბილისის „ლოკომოტივმა" მარცხი განიცადა ნავოიში, სადაც იგი შეხვდა ადგილობრივ „ზარაფშანს" — 0:2. წააგო ტყიბულის „მეშახტემაც" (ლენინაბადის „პამირთან" — 1:2).

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ალგა" (ფრუნზე) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 1:0, „ვოსტოკი" (უსტ-კამენოგორსკი) — „ნემანი" (გროდნო) 0:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „სპარტაკი" (ბრესტი) 2:1, „ენერგეტიკი" (დუშანბე) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 2:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ალგა" (ფრუნზე)	20	8	9	3	13—5	25
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	20	10	5	5	18—11	25
„ენერგეტიკი" (დუშანბე)	20	7	11	2	18—12	25
„შახტიორი" (ყარაგანდა)	20	9	6	5	20—11	24
„ლოკომოტივი" (თბილისი)	20	10	4	6	21—15	24
„სტროიტელი" (აშხაბადი)	20	8	6	6	27—18	22
„ნეფტიანიკი" (ფერგანა)	19	8	6	5	20—19	22
„პოლიტოტდელი" (ტაშკ. ოლქი)	20	6	10	4	14—16	22
„დინამო" (კიროვაბადი)	20	7	7	6	17—17	21
„ზარაფშანი" (ნავოი)	20	9	3	8	19—20	21
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	20	7	6	7	16—14	20
„დაუგავა" (რიგა)	20	3	14	3	15—13	20
„დინამო" (ბათუმი)	19	5	9	5	15—15	19
„ვოსტოკი" (უსტ-კამენოგორსკი)	20	6	7	7	13—15	19
„ნემანი" (გროდნო)	20	3	11	6	13—16	17
„მეშახტე" (ტყიბული)	20	7	3	10	17—22	17
„სპარტაკი" (ბრესტი)	20	4	8	8	11—14	16
„მეტალურგი" (ჩიმკენტი)	20	5	6	9	15—20	16
„ფოლადი" (სუმგაითი)	20	3	9	8	15—20	15
„შირაკი" (ლენინაკანი)	20	3	8	9	15—26	14
„პამირი" (ლენინაბადი)	20	4	6	10	15—28	14

„ბ" კლასი

ამიერკავკასიის ზონა

სოხუმელთა გამარჯვება

სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელებმა განვლილ ტურში თავიანთ მინდორზე მიიღეს კიროვაკანის „ლორი".

გაიმარჯვეს სოხუმელებმა — 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი" (მახარაძე)	15	8	5	2	23—7	21
„ავტომობილისტი" (ერევანი)	15	8	5	2	24—13	21
„მეტალურგი" (რუსთავი)	15	6	8	1	22—9	20
„ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური)	15	8	4	3	26—14	20
„გურია" (ლანჩხუთი)	14	8	3	3	18—9	19
„დილა" (გორი)	14	6	6	2	29—12	18
„ლორი" (კიროვაკანი)	15	7	2	6	17—18	16
„შუქურა" (ქობულეთი)	15	6	3	6	17—19	15
„კახეთი" (თელავი)	14	5	4	5	19—15	14
„სევანი" (ოქტემბერიანი)	15	4	6	5	15—16	14
„მაღაროელი" (ჭიათურა)	15	6	2	7	11—16	14
„დინამო" (სოხუმი)	14	4	4	6	16—13	12
„კოლხეთი" (ფოთი)	14	2	8	4	10—16	12
„ყარაბაღი" (სტეფანაკერტი)	15	3	6	6	10—20	12
„დაშკინი" (ზაქათალა)	15	4	4	7	12—27	12
„ალაზანი" (გურჯაანი)	14	4	3	7	14—15	11
„სპარტაკი" (ცხინვალი)	14	3	5	6	14—20	11
„ენგური" (ზუგდიდი)	14	4	3	7	12—21	11
„ლერნაგორცი" (კაფანი)	15	5	1	9	11—26	11
„არაზი" (ნახიჭევანი)	15	2	4	9	5—18	8

კვლავ სანეევი

სულ ახლახან ოდესაში დამთავრდა ზნამენსკების მძლეოსნური მემორიალი. ამ შეჯიბრების ლაურეატთა შორის იყო სამხტომში ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევიც. რა თქმა უნდა, აქ არაფერია გასაკვირი. საინტერესო ისაა, რომ ოდესაში სანეევი პირველად გამოვიდა სტარტზე მეხიკის ოლიმპიურ თამაშებში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ. მას თითქმის ათი თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მძლეოსნურ ტურნირებში, სპორტსმენებმა კი იციან, რა ძნელია ასპარეზობის რიტმში ჩავარდნა ასე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ვიქტორს გამარჯვება არ გასჭირვებია, თუმცა ოდესის სტადიონზე გამოდიოდა სსრ კავშირის ყველა საუკეთესო სამხტომელი ნ. დუდკინის მეთაურობით.

— ასე რატომ გაგიჭიანურდა შესვენება? კმაყოფილი ხარ თუ არა ოლიმპიადის შემდგომი დებიუტით? — ვკითხე ჩემპიონს.

— ფეხის სერიოზულმა ტრავმამ მთელი გეგმები ჩამიფუშა, — ამიხსნა სანეევმა. — თვენახევარი — აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე საერთოდ არ მივარჯიშია. გამომრჩა ზამთრის საწვრთნელ მეცადინეობათა სერია, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა თითქოს ყველაფერი რიგზეა. ფეხი ცოტა კიდევ მტკივა, მაგრამ ტკივილი ხტომაში ხელს არ მიშლის. რასაკვირველია, მოხარული ვარ, მემორიალის სამახსოვრო მედალი რომ მოვიგე, მაგრამ შედეგი არ მაკმაყოფილებს.

— რატომ? 16,77 სეზონის საუკეთესო შედეგია ევროპაში. ეს ცუდი მაჩვენებელი არ უნდა იყოს ოდესის სტადიონის რეზინ-ბიტუმის ბილიკისთვისაც, რომელმაც ბევრი საყვედური გამოიწვია.

— დიახ. ბილიკი მართლაც საშუალოა, — დამეთანხმა ვიქტორი, — მაგრამ ასეთ სარბიელზეც კი 17 მეტრზე შორს უნდა გადავმხტარიყავი. გადავხტებოდი კიდეც, მეტოქეობა რომ უფრო ძლიერი ყოფილიყო. მართლა მწყდება გული, რომ კოლია დუდკინი 16,80 სანტიმეტრზე მაინც ვერ გადახტა. ეს შედეგი ცოტა ბიძგს მომცემდა, როგორც ტერ-ოვანესიანს მოუვიდა. როცა ბარკოვსკიმ და ლეპიკმა შეუტიეს, იგორი, შეიძლება ითქვას, იძულებული გახდა 820 სანტიმეტრზე გადამხტარიყო.

— შეიტანე თუ არა რაიმე სიახლე ოლიმპიადის შემდგომ წვრთნაში?

— დიდი ხანია არ მქონია ასეთი იოლი სეზონი. შტანგასაც კი არ გავკარებივარ. მე და ჩემმა მწვრთნელებმა ა. კერსელიანმა და ვ. კრეერმა გადავწყვიტეთ არ დავაჩქაროთ საქმე. გვინდა მშვიდად ვემზადოთ მიუნჰენის ოლიმპიადისთვის, მომავალი ნახტომებისთვის შევქმნათ ბაზა. სანამ ტრავმა შემიშლიდა ხელს, ბევრს ვმუშაობდი სისწრაფის ამაღლებისთვის, რაშიც მე ერთ-ერთ მთავარ ფარულ წყაროს ვხედავ, და რაღაცას მივაღწიე კიდეც. ერთი რამ მიკვირს: მე უარი ვთქვი იმ უდიდეს დატვირთვაზე, რომელიც ერთი წლის წინ, მეხიკოსთვის მზადების პერიოდში მქონდა, მაგრამ მაინც უკვე მივაღწიე საუკეთესო ფორმას. ასე კარგად, ასე საბრძოლოდ განწყობილი დიდი ხანია არ ვყოფილვარ.

— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მალე შენივე მსოფლიო რეკორდზე მიიტან იერიშს?

— სწორედ ეს მინდოდა მეთქვა.

— როგორი შედეგით აპირებ მის გაუმჯობესებას?

17,50 მეტრამდე.

— როდის იქნება პირველი ცდა?

— 18 ივლისს ლოს-ანჯელესში. სსრ კავშირ — აშშ-ს და ბრიტანეთის ქვეყნების მძლეოსნურ მატჩში მე ალბათ შევხვდები ავსტრალიელ მეემს, რომელსაც ეკუთვნის სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში (16,90). ამ დროისთვის შეიძლება ფორმაში შევიდეს ამერიკელი არტურ უოკერიც, რომელიც ჯერჯერობით ჩუმადაა. მე მიყვარს ძლიერებთან ასპარეზობა. ამას გარდა, ლოს-ანჯელესში სექტორი ტარტანითაა დაფარული, ასეთ ბილიკზე ხტომას კი რა სჯობია!

— თუ გეგულება ახალგაზრდა საბჭოთა მხტომელებში ერთი კაცი მაინც, რომელიც შენს შეცვლას შეძლებს?

— ცვლაზე ჯერ ადრეა ფიქრი, მე კიდევ მოვასწრებ რაღაცას, — იღიმება 24 წლის ჩემპიონი. — მინდა დავასახელო ვალენტინ ტროფიმოვი — კრეერის მოწაფე. მისი საუკეთესო შედეგი ჯერჯერობით არც ისე მაღალია — 15,80, მაგრამ თვითონ ვალენტინი ძალიან ნიჭიერი ბიჭია. ის იტყვის თავის სათქმელს.

— შენი საერთო შთაბეჭდილება ოდესის მემორიალზე?

— ტერ-ოვანესიანის, ჩიჟოვას, სკვორცოვის, კლიმისა და ბონდარჩუკის შედეგები, ბუნებრივია, ყველა დიდ შეჯიბრებას დაამშვენებდა. მაგრამ ერთი რამ მეჩვენება ცოტა უცნაურად: რბენის სახელგანთქმული ოსტატებისადმი მიძღვნილი ტურნირი დღესასწაულად იქცა მხტომელებისთვის, მტყორცნელებისთვის, ერთი სიტყვით, ყველასთვის, გარდა მორბენლებისა. ჩვენი სპრინტერების, მიტელშტრეკერების, სტაიერების შედეგები ამ მემორიალში მაინცდამაინც დიდ იმედს ვერ გვაძლევს ამერიკელებთან მატჩისა და ევროპის ჩემპიონატის წინ. რბენა კი მძლეოსნობის მთავარი სახეობაა. სუსტი, უფრო ზუსტად, საშუალო მორბენლებით ძნელია საერთო გუნდური გამარჯვების მოპოვება.

— როგორ ფიქრობ, რას მოგვიტანს აგვისტოს მატჩი ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებთან?

— დაძაბულ და შინაარსიან ბრძოლას. ალბათ ყველაზე საინტერესო იქნება ტერ-ოვანესიანისა და მსოფლიო რეკორდსმენ ბიმონის დუელი.

— და შენ გგონია, რომ იგორი შეძლებს ფენომენალური ზანგი მხტომელის დამარცხებას?

— უეჭველად. ბრძოლა, მე ვფიქრობ, გაჩაღდება 825-835 სანტიმეტრის დონეზე. იგორმა პირველ ყოვლისა ფსიქოლოგიური ბრძოლისთვის უნდა მოამზადოს თავი, ირწმუნოს, რომ შეუძლია გამარჯვება. მაშინ მხარეთა შანსები გათანაბრდება.

— შენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს გუნდურ ჩათვლაში?

— ვნახოთ. მანამდე დროა, — დიპლომატიურად აარიდა პასუხს თავი ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

ა. სრებნიცკი.



ჩვენს გაზეთში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ რესპუბლიკის სტადიონებზე გამართულ შეხვედრებში ფეხბურთელები ხშირად არღვევენ დისციპლინას, ცალკეული მოთამაშეები არ ერიდებიან არავის, იქცევიან უწესოდ და ვერც მსაჯობაა ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე. ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და სპორტტექნიკური კომისია იძულებული არიან ხულიგანთა ასალაგმავად უმკაცრეს ზომებს მიმართონ.

ასეთი ამბავი მოხდა 21 ივნისს ჭიათურაში, სადაც კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის ამიერკავკასიის ზონის გუნდები — ადგილობრივი „მაღაროელი" და გურჯაანის „ალაზანი".

ვერ ვიტყვით, რომ თბილისელმა არბიტრმა ა. სიანოზოვმა მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა ეს მატჩი. მას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ, რაც მთავარია, ვერ შეძლო დაემყარებინა წესრიგი მინდორზე და ამის შედეგი იყო ის, რასაც თქვენ ხედავთ ჩვენი ჭიათურელი კორესპონდენტის თ. შეყილაძის სურათზე. მსაჯის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გურჯაანელი ფეხბურთელები მისცვივდნენ მას და ასეთი ხულიგნური „მეთოდით" ცდილობდნენ აეძულებინათ მსაჯი შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

ადვილად მიხვდებით, რომ „ალაზნის" მოთამაშეები თეთრ მაისურებში არიან.

ფინალში!

სტრიი, 11 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ლვოვის ოლქის ამ ქალაქში დასასრულს უახლოვდება ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც თბილისის ნორჩი დინამოელებიც მონაწილეობენ.

მიუხედავად დარჩენილი ბოლო ტურის თამაშებისა, თბილისელებმა გაინაღდეს I ადგილი და მასთან ერთად, ფინალში თამაშის უფლებაც. ჩვენმა ნორჩმა დინამოელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ბრესტის „სპარტაკი", 1:0 — სიმფეროპოლის „ტავრია", 3:0 — კლაიპედის „გრანიტასი" და 3:1 — ლვოვის „კარპატი".

დარჩენილია ბოლო შეხვედრა ბაქოს ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლის გუნდთან.

ო. უშვერიძე.

მწვრთნელის ემოცია პირდაპირი შედეგია იმისა, რაც მოედანზე ხდება. ლ. ინწკირველი კმაყოფილია — ჩანს, საქმე კარგადაა.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

სენსაცია არ მოხდება
ანუ ფიქრები საკალათბურთო სეზონზე

ხანმოკლე შესვენების შემდეგ, რაც საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებით იყო გამოწვეული, განახლდა ჩვენი ქვეყნის საკალათბურთო მაჯისცემა: „ა“ კლასის ოსტატთა გუნდები სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ინახულა თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი და ესაუბრა მას საჭირბოროტო საკითხებზე.

● რა ტურნირი გელით უახლოეს მომავალში?

— ვემზადებით „დინამოს“ სპარტაკიადისთვის, რომელიც 22 ივლისს აიღებს სტარტს პერმში. შემდეგ საკავშირო თასისთვის მოგვიწევს ბრძოლა. პირველ შეხვედრებს თბილისში ჩავატარებთ.

● ვის და როდის ეთამაშებით?

— ჯერ არ ვიცით. თასის გათამაშების დებულების თანახმად, 4 გუნდი ჩვენს ქალაქში იასპარეზებს. კენჭისყრა გაარკვევს მათს ვინაობას. მხოლოდ ერთი რამ ვიცით: მატჩები აგვისტოს შუა რიცხვებში მოეწყობა.

● ამოიწურება თუ არა თასის გათამაშებით წლევანდელი სეზონი?

— თასს მოჰყვება ყველაზე პასუხსაგები პერიოდი ჩვენს მუშაობაში — მომავალი საკავშირო ჩემპიონატისთვის სამზადისი.

● რა სისტემით გათამაშდება ჩემპიონატი? ძველი ფორმულა უცვლელი რჩება?

— 1970 წლის პირველობის პროექტი ძირითადად ცნობილია. წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით შეიცვლება მისი „მარათონული პროფილი“. გუნდები 44-44 მატჩს კი არ ჩაატარებენ, არამედ 33-33-ს. ჩემპიონატი, ფაქტიურად, ერთი წრით იკვეცება.

● წლეულს ძალიან ბევრს წერდნენ მარათონული სისტემის სარგებლობაზე და აი, უცებ ასეთი ცვლილება! ხომ არ იცით რაშია საქმე?

— ჩემი აზრით, კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ ყურად იღო ნაკრების მწვრთნელთა კატეგორიული მოთხოვნა კალენდრის ხანგრძლივობის შემცირების თაობაზე. ა. გომელსკისა და ი. ოზეროვს მიაჩნიათ, რომ 44-მატჩიანი კალენდარი ძალიან ქანცავს სპორტსმენებს, აქვეითებს მათს ფიზიკურ აქტივობას, ნაკრებს კი, პირიქით, სჭირდება კარგად ნავარჯიშევი, მაგრამ დასვენებული კალათბურთელები, ისეთები, რომლებიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის სირთულეების წარმატებით დაძლევას შეძლებენ.

● ნაკრებს დროებით თავი დავანებოთ და ჩვენს შინაურ საქმეებს მივხედოთ. ამ ცოტა ხნის წინ თქვენ სოფიაში სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ ორგანიზაციების ტრადიციული ტურნირი მოიგეთ. ცენტრალურმა რადიომ და პრესამ ეს გამარჯვება მოსკოვის „დინამოს“ მიაწერა. რაშია საქმე?

— სოფიაში იყო სსრ კავშირის „დინამოს“ ნაკრები, რომელშიც გამოდიოდა 7 თბილისელი ოსტატი (ლეჟავა, უგრეხელიძე, ალთაბაევი, სხიერელი, ნარიმანიძე, მალალაშვილი, ჩიხლაძე) და 4 მოსკოველი (პეტროვი, ილიუკი, სოკოლოვი, ცინმანი). გუნდის მთავარი მწვრთნელი მე გახლდით, მეორე მწვრთნელი — მოსკოველი კოლეგა ე. გომელსკი. ასეთია ფაქტები.

● დავუბრუნდეთ სსრ კავშირის თასის გათამაშებას. ხომ არ იცით, როგორ ემზადებიან ამ შეჯიბრებისთვის თქვენი მეტოქეები?

— პროფკავშირული გუნდები ამჟამად საკავშირო პროფსაბჭოს სპარტაკიადით არიან გართული, არმიელი კოლექტივები — თავიანთი საუწყებო ჩემპიონატით. ასე რომ, ტურნირისთვის ყველა თავისებურად ემზადება.

● საკავშირო თასის გათამაშების განახლებაზე რას იტყვით?

— საკავშირო ფედერაცია ამ დასკვნამდე გაცილებით ადრე უნდა მისულიყო.

● როგორ აფასებთ თქვენი მეტოქეების შანსებს საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში?

— დავასახელებ რამდენიმე ძირითად პრეტენდენტს: მოსკოვის „დინამო“, კიევისა და რიგის არმიელები, ტარტუს „კალევი“.

● ???

— თქვენი გაკვირვება უსაფუძვლოა. თასის მატჩებში ვერ ითამაშებენ ის კალათბურთელები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ნაკრების წევრთა გარეშე კი, მოგეხსენებათ, ძნელი იქნება წარმატებაზე ფიქრი.

● რას ფიქრობთ სსრ კავშირის ნაკრებზე. შეინარჩუნებს თუ არა იგი კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელს?

— შეინარჩუნებს. არა მგონია ევროპაში იყოს მეორე სხვა ღირსეული კანდიდატი, თუმცა, იუგოსლაველთა „ოლიმპიური სიურპრიზი“ მუდამ უნდა გვახსოვდეს. იტალიის ნაკრებიც შინ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე მეხიკოში. მაგრამ ვიმეორებ: ნეაპოლში სენსაცია არ მოხდება.

● ბოლო დროს თუ ნახეთ ნაკრების თამაში?

—სოფიაში გამგზავრების წინ შევხვდით ამერიკულ ტურნეში მიმავალ გუნდს. ვითამაშეთ პროფესიონალების რეგლამენტით — ოთხი 12-წუთიანი ტაიმი. ორი პირველი პერიოდი ჩვენ მოვიგეთ, ორი დანარჩენი — ნაკრებმა.

● ვისი გამოყოფა შეგიძლიათ ნაკრებში ყველაზე მეტად?

— ანდრეევისა. სხვათა შორის, ორივე პერიოდი მოვიგეთ მაშინ, როცა ნაკრების შემადგენლობაში იგი არ იყო. ამ გიგანტს თბილისელთაგან მალალაშვილი „იჭერდა“ და საერთო აღიარებით, წარმატებით გაართვა თავი ურთულეს ამოცანას.

● თქვენი აზრით, რა სისუსტე აქვს ნაკრებს?

— ამ შეკითხვაზე ყველაზე სწორი და კომპეტენტური პასუხი გამცა ა. გომელსკიმ, რომელსაც საკონტროლო მატჩის შემდეგ ვესაუბრე. იგი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ნაკრებს არა ჰყავს სრულფასოვანი დისპეტჩერი — ერთადერთი სუსტი ადგილი ანსამბლში. თუმცა, მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა ერევნელ კალათბურთელ ზასტუხოვზე.

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...

მას მთელს მსოფლიოში იცნობდნენ, როგორც უმამაცეს მთამსვლელს, მთების მინდიას, კაცს, რომელიც ქარზე მსუბუქია და საჩვენებელი თითით ძალუძს უფსკრულის თავს ჩამოეკიდოს. ინგლისში კი 1960 წელს გაუგონარი მამაცობისა და შეუპოვრობისთვის „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს. „კლდის ვეფხვი“! საზღვარგარეთიდან მოსულ უამრავ მოსაწვევ ბარათსა და წერილს „მიხეილ ხერგიანის“ გვერდით ეს ზედმეტი სახელიც ეწერა — „კლდის ვეფხვი“!

სინამდვილეში იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ადამიანი თავისი ყოველდღიური სიხარულითა და სადარდებლით, ნათესავებითა და ოჯახით, მეგობრებით, ამხანაგებით...

მესტიის რაიონში, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა, სრულიად უბრალოდ მიმართავდნენ — მიხეილ! მისი სიტყვაძუნწი და მომთხოვნი თანასოფლელების, თანამემამულეების აღტაცება არც ისე იოლი იყო. მისგან მეტს მოელოდნენ. ნამდვილად შეეძლო მეტი გაეკეთებინა.

მიხეილს კი უამრავი გარეშე თაყვანისმცემელი ჰყავდა და ბუნებით თავმდაბალს უკვირდა ხოლმე მის გარშემო ატეხილი ქება-დიდება.

— სვანეთში დაბადებული კაცი ბევრით არის დავალებული მთისგან — ტყუილად როდი უთქვამთ წინაპრებს, მთა აქ ყველაფერიაო. მთა იფარავს, მთა ჰკვებავს და ასაზრდოებს ადამიანს. საოცარია მთა, შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც კი მოსცილდები. მერე მთა მშობელივით საყვარელი და ახლობელი ხდება, მთა სულში იდგამს ფესვებს. ისევე, როგორც ხე მიწაში, — ამბობდა მიხეილი, როცა მის მთამსვლელურ გატაცებაზე შეეკითხებოდნენ.

და ყველა, ვინც კი მოწმე გახდა მისი შეუპოვარი ასვლებისა კავკასიონზე, პამირსა თუ ტიან-შანში, საზღვარგარეთის ქვეყნებში — ბულგარეთში, ინგლისსა და საფრანგეთში, ვინც მხილველი იყო უშბის სარკის სარეკორდო დალაშქვრისა და საკუთარი თვალით ენახა ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დამშვენებული მიხეილი, ყველა დარწმუნდებოდა, რამდენ ჭეშმარიტი და ნაღდი იყო ამ უბრალო, ხალასი, მუდამდღე იმ მთებივით მდუმარე და დაფიქრებული ადამიანის სიტყვები: საოცარია მთა, შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც კი მოსცილდებიო...

დიახაც, ვეღარ მოსცილდა იგი მთებს! ვეღარ უღალატა, ვეღარ შეელია. უსასრულოდ დაგრძელდა მესტიაში, ლაღამის მისადგომებთან დაწყებული ბილიკები. თურმე არ ჰქონიათ ბოლო, დასასრული... მაინც სად მიიყვანა იგი მთების სიყვარულმა, სად განუწესა სამუდამო სასუფეველი...

მიხეილი იყო პირველი საერთაშორისო კლასის ოსტატი ალპინიზმში საქართველოდან. იგი ერთნაირი გატაცებით მოღვაწეობდა რამდენიმე სფეროში: ზრდიდა მომავალ მთამსვლელებს, უფროსი თაობის შემცვლელთ, გზის განმგრძობთ. ათობით შესანიშნავი სპორტსმენი გაიზარდა მისი ხელმძღვანელობით. ზამთრობით, როცა ალპინისტური სეზონი ძირითადად დამთავრებული იყო, იგი სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის იღვწოდა.

მიხეილი იყო ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი საბჭოთა სკოლის კლდეზე მცოცავებისა. მან ზედიზედ ცხრაჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება სპორტის ამ ერთ-ერთ ურთულეს სახეობაში, თითქმის ამდენჯერვე გავიდა საპრიზო ადგილებზე.

სპორტის ამ სახეობას დაუღალავ პროპაგანდას უწევდა მიხეილი მშობლიურ რაიონში — მესტიაში. მისი თაოსნობით შეიქმნა მესტიის რაიონის სამაშველო ჯგუფი, რომელსაც ცნობილი საბჭოთა მთამსვლელები — მიხეილის მასწავლებლები ბექნუ ხერგიანი და ჭიჭიკო ჩართოლანი უდგანან სათავეში. ამ ჯგუფმა არა ერთი და ორი ადამიანი იხსნა განსაცდელისგან, არა ერთსა და ორს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი...

თვითონ მიხეილიც ხშირად მონაწილეობდა სამაშველო საქმიანობაში. გავიხსენოთ, თუნდაც, გადილბაშკარას მწვერვალზე დატრიალებული ტრაგედია. იური ბურუზევიჩის ხელმძღვანელობით მთამსვლელთა ჯგუფი ქარაფებში გაიჭედა. ყინვასა და ქარში რამდენიმე დღე-ღამეს ეკიდნენ უფსკრულის თავზე. გათოშილ, ილაჯმიხდილ ხალხს უკან დაბრუნების თავი აღარ ჰქონდა. უბედურებაში ჩავარდნილებმა იცოდნენ, რომ ახლო-მახლო „კლდის ვეფხვს“ და მის თანამემამულეებს ედოთ ბანაკი და თუ ვინმე მოვიდოდა, თუ ვინმე გადაარჩენდა მათ, მხოლოდ ისინი... სხვა ვინ შემოაღწევდა ამ უდაბურ ფორპოსტებში... და მართლაც, მოვიდა მიხეილ ხერგიანი თავისი ჯგუფით. მოვიდნენ და ნახევრად გაციებულ ადამიანებს თავიანთი სითბო გაუნაწილეს...

მსგავსი შემთხვევა მიხეილის ცხოვრებაში უამრავია. იგი მუდამ იყო ვაჟკაცობისა და თავგანწირულობის ნიშანსვეტი მეგობარ-ამხანაგებში. როცა ვინმეს უჭირდა, იგი ტოვებდა თავის საქმეს და სწრაფად მიეშურებოდა გასაჭირში ჩავარდნილის დასახმარებლად.

ასე იყო იმ საბედისწერო 1961 წელსაც ტიან-შანში, გამარჯვების პიკზე. სამმა ქართველმა ვაჟკაცმა დაიდო ცასთან ახლოს საბოლოო ბინა. ის მეოთხეც შეიძლება დარჩენილიყო მათთან ერთად მყინვართა საუფლოში, მაგრამ მიხეილმა გამოსტაცა იგი ულმობელ სიკვდილს: ზურგზე წამოიკიდა მოყინული, უკვე სასოწარკვეთილი, გადარჩენის იმედგადაწურული მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) და ხუთიოდე კილომეტრი ატარა სიკვდილმობნეულ გზებზე.

მართლაც იშვიათი თავდადება იცოდა მიხეილმა!

შემდგომ წლებში, როცა ულმობელმა სენმა მაინც დარია ხელი მიხეილ ხერგიანს (უმცროსს), მიშამ ერთხელ თქვა: ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ნახევარი მხარი ჩამომაჭრესო. უცნაური იყო, მაგრამ იმ დღიდან მოუოლებული მიხეილი მართლაც მხარჩამოკვეთილივით დადიოდა. აღარავის ახსოვს იგი ერთი გულიანად გაღიმებული. იშვიათად იცინოდა, თითქოს უკვე აღარ მოსდგამდა ის ძველი სიმხნევე და სილაღე. იტალიაში გამგზავრების წინ იგი რაღაც გაორებულ ხასიათზე იყო. ვინ უწყის, იქნებ უჩინარი წინათგრძნობა აუწყებდა უბედურებას... მაგრამ მიხეილს მამა-პაპიდან, სახელოვანი წინაპრებიდან მოსდგამდა შეუპოვრობა, გამარჯვებისადმი ლტოლვა და მისწრაფება, სიმაღლეთა დამორჩილებისა და დათრგუნვის ჟინი. ისევე, როგორც მამამისს, სპორტის ოსტატ ბესარიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებს, მასაც არ სჩვეოდა უკანდახევა და ათასი წვრილმანის გამოკიდება.

და კვლავ აიკრა გუდა-ნაბადი შორეულ გზაზე წასასვლელად. საუბედუროდ, ამჯერად უკანასკნელად დაქროლეს მისთვის სამოგზაურო ქარებმა მწვერვალებიდან, უკანასკნელად არიალდნენ ქათქათა კავკასიონის მთები უშიშარი რაინდის წინაშე, უკანასკნელად ჩაკიდეს ერთურთს ხელები და „შინავორგილი“ დაუარეს.

მიხეილის ამხანაგებმა კარგად იციან: ტექნიკურად ძნელ მარშრუტებზე, სადაც უფრო ხელით საცოცი და გასავლელი იყო, წინ მუდამ „კლდის ვეფხვი“ მიდიოდა. მისი იმედი ჰქონდათ და გულდაარხეინებულნი ელოდნენ, როდის გაარღვევდა საშიშ ადგილს და სამაშველო თოკს ჩამოუშვებდა. ამჯერადაც, იტალიაში, დოლომიტის ალპებში, სუ ალტოს პიკის კედლის დაძლევის დროს ასე იყო. მიხეილი წინ მიდიოდა და ინგლისისა და უშბის სასწაულებს იმეორებდა, თითებით დაეძებდა პორებს, ხელის ჩასავლებს მოსიპულ კლდეზე, იპოვიდა, ჩამოეკიდებოდა, მერე ისევ ეძებდა... „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი...“ ეს იყო ალბათ მისი უკანასკნელი გაფიქრება.

სიკვდილი ამოვიდა მთებში.

მიხეილს განსაცდელის ჟამს უყვარდა „ლილეოს“ სიმღერა, ძველი სვანური მზის სადიდებელი ჰიმნის ლილინი. იგი მართლაც მზეს ეთამაშებოდა მთელი სიცოცხლე. მზეს ელაციცებოდა, მზისკენ მიკვალავდა გზას. მზისკენ ლტოლვა იყო მთელი მისი ცხოვრება. დოლომიტის მთებში, ქარაფებს შომწყდარმა კაცმა უკანასკნელად დაიბუხუნა მზის საგალობელი და სახელოვნად აღასრულა თავისი ადამიანური ვალი: „მიწა ხარ და მიწად იქეცი“.

„სვანეთში დაბადებული კაცი ბევრით არის დავალებული მთისგან, მთა ჰკვებავს, მთა ასაზრდოებს, მთა იფარავს ადამიანს...“ მთებმა შობეს იგი, მთებიდან დაეშვა მსუბუქი ნიავივით ჩვენთან, კავკასიონის მთებმა მოავლინეს მისი სახელი მთელს მსოფლიოში. ახლა კი შორს ჩვენგან ისევე მოკრძალებით, ისევე ჩუმად შეუერთდა ჭიუხებსა და ქარაფებს, როგორიც იყო მისი გამოცხადება. მაგრამ მან დაწერა შეუპოვარი, ვაჟკაცური, დიდი ცხოვრების წიგნი, ქათქათა მწვერვალებივით ნათელი და მარადიული, ლილეოსავით ამაღლებული და დიდებული. ეს წიგნია გაუგონარი ამბებით აღსავსე ერთი უბრალო ადამიანის ცხოვრება... ეს წიგნია, რომელიც სამარადისო სახსოვრად დარჩებათ უდროოდ წასული ადამიანის მეგობრებს, მისი ნიჭისა და ვაჟკაცობის თაყვანისმცემელთ...

მირონ ხერგიანი.

«კლდის ვეფხვი». ფოტო შ. შირინაშვილისა.

ამაგდარი

ლუკა იოაკიმიძე 60 წლისა

ქამათურაში, ყვირილაზე, ხიდთან ხშირად იყრიდნენ თავს ბავშვები. ზაფხულში აქ იყო მათი ყველაზე საყვარელი გასართობი ადგილი. დილიდან საღამომდე წყალში ჭყუმპალაობდნენ, თანდათან ეჩვეოდნენ ცურვას და მერე მორევებსაც ეტანებოდნენ. ამ ადგილების ხშირი სტუმარი გახლდათ ქარხნის მექანიკოსის ალექსანდრე იოაკიმიძის ვაჟი ლუკაც...

მამის გარდაცვალების შემდეგ იოაკიმიძეების ოჯახი საცხოვრებლად თბილისს გადმოვიდა. ლუკას ფიზკულტურის სიყვარული სკოლაში კიდევ უფრო გაუღრმავა ნ. სეფაშვილმა. მასთან დაიწყო ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში წვრთნა, მაგრამ არც ცურვა დავიწყებია: საათობით იკარგებოდა — ხან მტკვარზე ცურავდა, ხან ლისის ტბაზე. საწარმო-ეკონომიური ტექნიკუმის მოსწავლე ორ წელიწადს ზამთარში ცურვაში იწვრთნებოდა. ხმელ-ხმელი, ჯანიანი ჭაბუკი მალე შეჯიბრებაშიც ჩაება: 1927 წელს იგი ბაქოში გამოვიდა ამიერკავკასიის I პროფკავშირულ სპარტაკიადაში და მძლეოსნურ ექვსჭიდში იასპარეზა.

ერთი წლის შემდეგ თბილისში სანაპიროზე პირველი აუზი აიგო. ეს იყო ფასიანი საცურაო, არავითარი სექციები, არავითარი ორგანიზებული სწავლა. ლუკამ აქ „დაიდო ბინა“ და სხვადასხვა სტილით ცურვაში ვარჯიშობდა. განსაკუთრებით ბრასის სტილი იტაცებდა. პირველ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 100 მეტრზე 1.34,0 აჩვენა და ჩემპიონი გახდა (ახლა ეს შედეგი გოგონათა II თანრიგის ნორმატივია).

ცურვა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა... აი, ის სახეობები, რომლებშიც ახალგაზრდა ლ. იოაკიმიძე ცდიდა ხოლმე ძალას. 1930 წელს ნ. მეიფარიანისა და ა. ბაქრაძის მოწაფემ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტანმოვარჯიშეთა ტურნირში II ადგილი დაიკავა. სამიოდე წლის შემდეგ, როცა მთავრობის წინაშე დაისვა აუზის სპორტული მიზნით გამოყენების საკითხი, არჩევანი ლ. იოაკიმიძეზე შეაჩერეს. ის გახდა აუზის პირველი დირექტორიც, ინსტრუქტორიც, მწვრთნელიც. გაჩნდა მოცურავეთა ჯგუფები, ცურვის მაშინდელი რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარის გ. მერკვილაძის დახმარებით შეიქმნა სსრ კავშირში პირველი ბავშვთა ცურვის სპორტსკოლა, რომელიც აქტივზე დაყრდნობით მუშაობდა.

ამასობაში თბილისში წყალბურთსაც გაუგეს გემო. მოცურავეთა მწვრთნელი იოაკიმიძე თვითონ წყალბურთში ვარჯიშობდა და ჯერ ქალაქის ნაკრებში ჩაირიცხა, შემდეგ რესპუბლიკურში. ენთუზიასტების მონდომებამ გუნდი სსრ კავშირის უძლიერეს კოლექტივებს შორის ჩააყენა. გ. კალანდაძე, ვ. ჭედია, ნ. იახნოპულო, ა. გეგელია, რ. ალტაევი. ლ. იოაკიმიძე და სხვანი — ამ შემადგენლობით გამოდიოდა საქართველოს ნაკრები, რომელმაც სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ქვეყნის მაშინდელ ჩემპიონს — ლენინგრადის მეზღვაურთა გუნდს მოუგო. მაგრამ ნახევარფინალში დამარცხდა მოსკოველებთან.

გადიოდა წლები. საქართველოში შესანიშნავი წყალბურთელები იზრდებოდნენ. მაგრამ როცა მოსკოვის გუნდებმა ზედიზედ გადაიბირეს ზ. და რ. ჩაჩავები. მ. რიჟაკი. პ. მშვენიერაძე, გ. ხარებოვი... იოაკიმიძე, როგორც მწვრთნელი. გუნდს ჩამოშორდა.

— ხალისი აღარ მქონდა, ბიჭებს დავზრდიდით, დავაფრთიანებდით და სხვებს მიჰყავდათ. საკავშირო ტურნირებში ამიტომაც ვერასოდეს მივაღწიეთ უმაღლეს მწვერვალს, — სინანულით იგონებს ლ. იოაკიმიძე.

წყალბურთზე „განაწყენებულმა“ უფრო გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი მოცურავეთა აღზრდას.

— რომელი ერთი დაგისახელოთ, — გვითხრა პასუხად, როცა ვთხოვეთ ჩამოეთვალა ის მოცურავენი, ვინც საკავშირო სარბიელზე გამოიჩინა თავი. — ა. გეგელია — საქართველოდან სსრ კავშირის პირველი რეკორდსმენი ჭაბუკთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, რ. გუგუშვილი — ჩვენს ქვეყანაში აღიარებული ბრასისტი, ტ. მაკოვკინა. ა. ჟურავლიოვა, ი. ქავთარაძე, პ. მშვენიერაძე, პ. დადიანიძე, ვ. ჭედია... ბევრმა ისახელა თავი დიდ ტურნირებში, მაგრამ მაინც განსაკუთრებით გამოვყოფ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აღზრდილებს, რომლებმაც ტექნიკა „დინამოს“ ჯგუფებში სრულყვეს (ამ ჯგუფებს ლ. იოაკიმიძე ხელმძღვანელობდა. —ო. ბ.). ესენი არიან: სსრ კავშირის რეკორდსმენი და ჩემპიონი 1500 მ-ზე თავისუფალი სტილით ცურვაში, სოხუმელი ვ. ლავრინენკო, ქვეყნის ორგზის ჩემპიონი ბრასით ცურვაში, ბათუმელი ა. ანტონიანი, მისი თანაქალაქელი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი პ. ბრეუსი, ამჟამად ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელი, სოხუმელი ა. იურჩენკო, სპორტის დამსახურებული ოსტატი, წყალბურთელი ნ. გვახარია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები მ. ტატიშვილი და ა. საფრონოვი, უფრო გვიან — რ. არკადიევა, ლ. კრილოვა, ა. იოაკიმიძე...

ლუკა იოაკიმიძე ათეული წლების მანძილზე მუშაობს „დინამოს“ ცურვის სპორტსკოლის დირექტორად და უფროს მწვრთნელად, დიდხანს ედგა სათავეში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებს, 8 წელიწადს სსრ კავშირის ნაკრებთან მუშაობდა...

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიძის ღვაწლია ისიც, რომ მისი ოჯახის ყველა წევრი საწყლოსნო სპორტის მოყვარულია. უფროსი ვაჟი ალეკო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი და მოცურავეთა საერთაშორისო მატჩში გამარჯვებულია. გრიშამ და სლავამ წყალბურთელობა ამჯობინეს, გალინამ ცურვა ირჩია, მეუღლე ზინა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გახლავთ.

ლუკა დღესაც ახალგაზრდული ენერგიით იღვწის საქართველოში ცურვის აღმავლობისთვის. რაც მთავარია, იგი შეუბრალებლად ებრძვის სიყალბეს, რაც, როგორც თვითონ თქვა, შეუწყნარებლად აფერხებს ჩვენში ცურვის განვითარებას.

ო. ბელაშვილი.

• • •



სურათზე: მამა და შვილი — ლუკა და ალეკო მორიგ ვარჯიშზე.

ფოტო ავტორისა.

პირველი მასპინძლობა

წლევანდელ სეზონში ბაიდარისა და კანოეს საბჭოთა ოსტატებს ცუდად გამოსვლის უფლება, უბრალოდ, არა აქვთ. ევროპის ჩემპიონატი პირველად ჩატარდება მოსკოვში. ხოლო იმის გამო, რომ ამ ოლიმპიურ სახეობაში უძლიერესი სპორტსმენები უმეტესად ევროპაში ცხოვრობენ, 13-17 აგვისტოს ხიმკის წყალსაცავზე მოსული მაყურებლები თითქმის მთელი მსოფლიოს საუკეთესო ნიჩბოსნების ოსტატობას იხილავენ.

საბჭოთა ოსტატების კლასს განსაკუთრებული რეკომენდაციები არ სჭირდება — საკმარისია გავიხსენოთ ბოლო მსოფლიო პირველობა დუისბურგში (გფრ), სადაც მათ ოქროს 7, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 7 მედალი მოიპოვეს. ისინი საკმაოდ კარგად გამოვიდნენ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში, მიუხედავად მაღალმთიანეთის პირობებისა.

ამ სეზონისთვის საბჭოთა ნაკრებმა წვრთნა მეხიკოს შეჯიბრების დამთავრებისთანავე დაიწყო. გუნდის შემადგენლობა გაფართოვდა, რადგან მეხიკოში პროგრამით მხოლოდ 7 სახეობა იყო გათვალისწინებული, მოსკოვში კი კონტინენტის პირველობა 16 სახეობაში გათამაშდება. ამას გარდა, ნაკრები ძალიან „გაახალგაზრდავდა“. თუმცა ეს კია, რომ ამ სახეობაში ასაკს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება — ვეტერანებს ხშირად უმაღლესი ჯილდოები ხვდებათ ხოლმე დიდ რეგატებში.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გუშინდელი ჭაბუკები დღეს ისე ძლიერი ოსტატები არიან, როგორც არასოდეს. ისინი გულმოდგინედ ვარჯიშობენ, შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები აქვთ, ტექნიკის მხრივ კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვირტუოზები არიან.

ამ წარმატებას ახალგაზრდობა, რასაკვირველია, უნდა უმადლოდეს მწვრთნელებს — ახლო წარსულში უძლიერეს მებაიდარეს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ა. სერედინას, ა. ხიმიჩს, ი. პისარევს, ნ. სავინს; კანოისტებს ს. ოშჩენკოვს, ს. მაკარენკოს, ვ. ნაუმოვს.

მეხიკოს ოლიმპიადის დღეებში ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: ამიერიდან მსოფლიოსა და ევროპის პირველობები ჩატარდება ყოველწლიურად და არა მორიგეობით, როგორც ადრე იყო. სპორტის ამ სახეობის პოპულარობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იზრდება. რბოლები უამრავ მაყურებელს იზიდავს. მაგრამ რაკი ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღეს, როცა სსრ კავშირის ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობის ფედერაცია უკვე ემზადებოდა ევროპის ადრევე დაგეგმილი პირველობისთვის, საბჭოთა მხარემ წინადადება შეიტანა, რომ ამ სეზონში მოსკოვში მხოლოდ ევროპის პირველობა გამართულიყო. ეს წინადადება მიიღეს.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატებად მწვრთნელებმა 130-ზე მეტი კაცი შეიგულეს. მათგან ევროპის პირველობის დასაწყისისთვის უკვე 44 კაცი იქნა შერჩეული — ეს მოზრდილებში. იუნიორებმა ახლახან სარატოვში ჩაატარეს საკავშირო პირველობა, რომლის შედეგების მიხედვითაც 20 უძლიერესი შეირჩა. მოზრდილებმა 28-29 ივნისს გაიარეს პირველი სერიოზული გამოცდა — უძლიერესთა საკავშირო შეჯიბრება ხიმკის წყალსაცავზე. მწვრთნელები კმაყოფილი დარჩნენ — საბოლოო შემადგენლობის კანდიდატებმა მაღალი ოსტატობა და კარგი სპორტული ფორმა გამოავლინეს.

და მაინც, მწვრთნელებმა ნაკრებში ახალბედებიც შეიყვანეს. ესენი არიან, პირველ ყოვლისა, მებაიდარეები ა. გორდეევი და ო. ცეგოევი, რომლებიც ბრწყინვალედ გამოვიდნენ 500-მეტრიან დისტანციაზე. მოლდაველი მწვრთნელის ვ. კაჩურას აღზრდილებმა ჩამოიტოვეს ნაკრების წევრები, ევროპის ჩემპიონები ვ. ობრაზცოვი — გ. კარიუხინი და ი. კაბანოვი — ა. კაპტურა. ნაკრებში შევიდნენ ნატალია ბოიკო, რომელმაც III ადგილი დაიკავა ერთადგილიანი ბაიდარით და კანოისტების დუეტი: ვ. ვასილჩენკო — ნ. კრავჩუკი.

მათგან, ვინც ადრე იყო შეყვანილი ნაკრებში, უნდა აღვნიშნოთ გ. კირიანოვა. მან თავისებური რეკორდი დაამყარა: I ადგილები დაიკავა ერთადგილიანით, ორადგილიანით (ტ. მალეროვსკაიასთან ერთად) და ოთხადგილიანით, სადაც იგი მენიჩბე იყო. სპეციალისტების აზრით, გალინა ა. სერედინას და ლ. პინაევას ღირსეული მემკვიდრე იქნება. კარგად გამოვიდნენ ახალგაზრდები თ. შიმანსკაია და ლ. ბერესნევა. თავიანთი უპირატესობა დაამტკიცეს მებაიდარეებმა ა. შაპარენკომ — მოროზოვმა. ამასთან, შაპარენკო მესამე იყო ერთადგილიანით და პირველი — ოთხადგილიანით, სადაც მენიჩბის როლი ჰქონდა დაკისრებული.

წარმატებით იასპარეზეს კანოისტებმა — მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორმა ნ. პროკუპეცმა, ვ. დრიბასმა და ვ. კალიაგინმა. ეს სპორტსმენები ტოკიოს ოლიმპიური ჩემპიონის ა. ხიმიჩის აღზრდილები არიან, რომელმაც ამ დღეს გამარჯვების სიხარული გაინაწილა თავის კიდევ ერთ მოწაფესთან, 22 წლის რ. ნაგირნისთან ერთად. ნაგირნიმ მესამე პრიზიორის სახელი მოიპოვა 1000-მეტრიან დისტანციაზე ერთადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაში. წარმატება ხვდა ახალგაზრდა გორკელ კანოისტს ვ. ბობკოვს, რომელმაც გაიმარჯვა მარათონულ დისტანციაზე — 10 კმ-ზე.

ევროპის ჩემპიონატის წინ პირველმა სერიოზულმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ კანოისტებმა გაითვალისწინეს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში დაშვებული შეცდომები და საგრძნობლად აიმაღლეს ოსტატობა. მებაიდარეებიც საბრძოლველად არიან მზად და შეუძლიათ წარმატების იმედი ჰქონდეთ. როგორი იქნება სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობა კონტინენტის პირველობაში, ამაზე ჯერ კიდევ ადრეა ლაპარაკი, რადგან გუნდების დაკომპლექტების საკითხი საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ნაკრების შემადგენლობაში ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენები შევიდნენ. ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა სულ უფრო პოპულარული ხდება ახალგაზრდობას შორის. ეს ნიშნავს, რომ ნაკრებს ცვლა არ მოაკლდება და ჩვენ კიდევ ბევრ ახალ სახელს ვიხილავთ გამარჯვებულთა სიაში. მაგალითად, იუნიორებში საკმაოდ მაღალი შედეგები აქვთ მებაიდარეებს — 16 წლის ნ. გოპოვას და ა. კობრიჩევს, კანოისტ ა. პუჩკოვს.

ახლა საბჭოთა ნიჩბოსნები ემზადებიან რუმინეთის საპასუხისმგებლო სტარტებისთვის. იქ, სნაგოვის ტბაზე 12-13 ივლისს თავს მოიყრის თითქმის ყველა მთავარი მეტოქე. 26-27 ივლისს სსრ კავშირის ნაკრები ჩაებმება კოპენჰაგენის რეგატაში, რომელიც ბოლო შეჯიბრება იქნება ევროპული პირველობის წინ.

საბჭოთა ოსტატებს ბევრი სერიოზული მეტოქე ჰყავთ. პირველ ყოვლისა, ესენი არიან რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გდრ-ის, შვეციის, გფრ-ის, დანიის ნაკრები კოლექტივები. ძლიერი ნიჩბოსნები არიან სხვა ქვეყნების გუნდებშიც. ეჭვი არ არის, რომ კონტინენტის პირველობის ვრცელი პროგრამის ყველა სახეობაში შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდება.

ბ. ოსიპიანი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის
პირველობა
14 ივლისს

IV ქვეჯგუფი

„ლოკომოტივი“
(თბილისი) —
„ვოსტოკი“
(უსტ-კამენოგორსკი)

●

16 ივლისს
საერთაშორისო შეხვედრა
„დინამო“ (თბილისი)
— „ნასიონალი“
(მონტევიდეო)

ბილეთების წინასწარი გაყიდვა — 14 და 15 ივლისს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა — 16 ივლისს 10 საათიდან. ფასიანი აბონემენტების მფლობელნი ბილეთებს იძენენ ტალონით № 41.

●

მატჩების დასაწყისი 20 ს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 1 სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1969-1970 სასწავლო წლისთვის V-VI-VII-VIII კლასებში ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობისა და ველოსპორტის განხრით.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ორივე სქესის მოსწავლეები: V კლასში — 1958 VI კლასში — 1957, VII კლასში — 1956, VIII კლასში — 1955 წელს დაბადებულნი. IX კლასში გამონაკლისის სახით მიიღებიან კარგი სპორტული მონაცემების მქონე ველოსიპედისტები დ. მძლეოსნები.

სკოლა ინტერნატში ჩარიცხვის მსურველებმა ა. წ. 20 აგვისტომდე უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები:
1. განცხადება სკოლა-ინტერნატის დირექტორის სახელზე,
2 დაბადების მოწმობა.
3. ცნობა — რომელ კლასში სწავლობს,
4 ნიშნების ფურცელი,
5. დახასიათება,
6 ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან,
7. სამედიცინო ცნობა (ფორმები №№ 286, 191, 26),
8. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, დაბადების წლებისა და საქმიანობის ჩვენებით,
9. ცნობა მშობლების ხელფასის შესახებ (დედისა და მამის ცალ-ცალკე).
10. 3 ფოტოსურათი.

მისაღები გამოცდები ჩატარდება სპორტში 21-27 აგვისტოს.

სწავლება ქართულ ენაზე.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე.

მისამართი: თბილისი, გლდანი, № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატი

ტელეფონი — 66-29-59.

ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის

ჯემალ არჩილის ძე ხორბალაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 ივლისს, 20 საათზე. გამოსვენება 13 ივლისს, 17 საათზე ბინიდან — გუთნის ქ. № 23.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04219